მარიამ ღრუბელაშვილი

05/06/2005

სკოლა: **კავკასიის ბიზნესის სკოლა**

პროგრამა: **ბიზნესის ადმინისტრირება**

კურსი: **II**

CU ელ.ფოსტა: **M_GHRUBELASHVILI@CU.EDU.GE**

ჩემს შესახებ

მე ვარ მარიამ ღრუბელაშვილი, CU ელჩი. ვსწავლობ კავკასიის უნივერსიტეტში, სადაც ბიზნესის ადმინისტრირებისა და მარკეტინგის მიმართულებით უმაღლეს განათლებას ვიღებ. ჩემს არჩევანში ყოველთვის ღრმად დარწმუნებული ვიყავი, ახლა კი, კმაყოფილება დღითი დღე მემატება.

სკოლა წარმატებით დავამთავრე და მსურს, უნივერსიტეტშიც ასე გავაგრძელო და, არა მარტო მე, არამედ ყველას დავეხმარო ამ გზის გავლასა და განვითარებისაკენ სწრაფვაში, ჩემი კომპეტენციის შესაბამისად. რამდენიმე თვეა, უნივერსიტეტის პარალელურად დავსაქმდი ფინანსურ საკონსულტაციო კომპანიაში მარკეტერის პოზიციაზე.

ბავშვობიდან მე ვიყავი ის ბავშვი, რომლის ენერგიაც შეუზღუდავი იყო და მიყვარდა კომუნიკაცია, ურთიერთობა და ზოგადად, ადამიანები.

ჩემს გულში მოგზაურობას დიდი ადგილი უჭირავს. ვფიქრობ, ყოველი მოგზაურობა თვალსაწიერს აფართოებს. უცხოური, ევროპული ცხოვრება ჩემი სწავლისა და სამომავლო კარიერული მისწრაფებების განუყოფელი ნაწილია. კომუნიკაბელური ხასიათითა და მიზანმიმართულობით ვცდილობ გამოვიყენო ყოველი შესაძლებლობა, რათა ვისწავლო და ვიცხოვრო საინტერესო და ლაღი ცხოვრების წესით.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი
CAUCASUS UNIVERSITY
AMBASSADOR